პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 76 (1246) | ხუთშაბათი, 26 ივნისი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამას წინათ დამთავრებულ რესპუბლიკურ პირველობაზე ცხენოსნობის კლასიკურ სახეობაში მხედარმა ვ. ოძელაშვილმა სიმაღლეზე ხტომაში დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი.

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. ოძელაშვილი ცხენ „ზიუიდით" სძლევს 187 სანტიმეტრ სიმაღლეს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ბ. გურგენიძე პირველ ადგილზე

სოფიაში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა ბულგარეთის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და იუგოსლავიის 12 მოჭადრაკე.

საქართველოს ჩემპიონმა გურგენიძემ სტარტზე წარუმატებელი თამაშის მიუხედავად შემდეგში სავსებით გამოასწორა მდგომარეობა. მან დაამარცხა ოსტატი რადოვიჩი, უნგრეთის ერთ-ერთი წამყვანი მოჭადრაკე სილაგი და შეჯიბრების ლიდერი გახდა. როგორც ბულგარეთის პრესა აღნიშნავს, იგი თვითეულ პარტიაში ბოლომდე ენერგიულად იბრძოდა, მაშინ, როცა შეჯიბრების სხვა მონაწილეები არ გაურბოდნენ ე. წ. „გროსმაისტერულ" ყაიმებს.

საბოლოოდ გურგენიძემ 11 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და პირველი-მესამე ადგილები გაიყო რადოვიჩთან (რუმინეთი) და ბობეკოვთან (ბულგარეთი) ერთად. გურგენიძე რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდება მოსკოვში და შემდეგ ისევ სოფიას ესტუმრება სტუდენტთა მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

## სამი მსოფლიო რეკორდი

ცნობილმა რუმინელმა მძლეოსანმა ქალმა იოლანდა ბალაშმა ამ დღეებში კიდევ ერთი შესანიშნავი წარმატება მოიპოვა სიმაღლეზე ხტომაში. მან აჩვენა ფენომენალური შედეგი — 1,80 მეტრი და 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი.

ამ დღეებში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ჩემპიონატი, სადაც ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჰ. კონოლიმ ურო ტყორცნა 68 მეტრსა და 68 სანტიმეტრზე, რაც 1 მეტრი და 36 სანტიმეტრით აღემატება მ. კრივონოსოვის (სსრ კავშირი) მიერ 1956 წელს დამყარებულ მსოფლიო რეკორდს. ამავე შეჯიბრებაში გ. დევისმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 440 იარდზე თარჯრბენში — 49,9 წ.

## გავდევნოთ ჩვენი რიგებიდან უდისციპლინო ელემენტები

ჩვენი გაზეთის მეორე გვერდზე მკითხველი იხილავს მეტად საგულისხმო სტატიას — „კიდევ ერთხელ „ვარსკვლაური სენის" შესახებ". იგი ეხება ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის ცენტრალური თავდამსხმელის ედუარდ სტრელცოვის თავაშვებულ, აღვირახსნილ საქციელს, რამაც იგი სისხლის სამართლის დანაშაულამდე მიიყვანა. სტატიის ლეიტმოტივია: დანაშაული არ უნდა დაიფაროს, ხოლო ვინც ამას სჩადის, მას აღმზრდელობითი მუშაობის ელემენტალური საკითხები არ ესმის და ფაქტიურად ძირს უთხრის საბჭოთა სპორტს.

ე. სტრელცოვი დაისაჯა. იგი სამუდამოდ გამოაკლდა საბჭოთა ფეხბურთელთა რიგებს. მაგრამ აქა-იქ კიდევ შემოგვრჩნენ უდისციპლინო ელემენტები, რომლებიც სარგებლობენ რა საკმაო სპორტული რეპუტაციით, მოკალათებული არიან გუნდებში და თავიანთი უმგვანო საქციელით ხრწნიან ახალგაზრდებს. ჩვენ ამას წინათ გამოვაქვეყნეთ ვრცელი წერილი „პილატეს ცრემლები", სადაც მოთხრობილი იყო „განთიადის" მოჭიდავეთა „საგმირო საქმენი" მინსკში, საკავშირო პირველობაზე სამბოში. დავბეჭდეთ აგრეთვე წერილი — „ჭადრაკი საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის სახეობაა" — სადაც ლაპარაკი გვქონდა ოსტატ მ. ბუსლაევის არასპორტული საქციელის შესახებ. გავიხსენოთ თბილისის ოფიცერთა სახლის სახლის გუნდის წევრის ხ. თორაძის, „დინამოს" დუბლის მოთამაშეების სოტკილავასა და კოზაევის საქციელი და ჩვენთვის აშკარა გახდება, რომ სპორტსმენთა შორის იდეური მუშაობა მოიკოჭლებს.

მსაჯის შეურაცხყოფა, მოწინააღმდეგის უპატივცემლობა, მინდვრის დემონსტრაციულად დატოვება და სხვა აღმაშფოთებელი ფაქტების გარჩევას ვერ აუდის ფეხბურთის რესპუბლიკური სექცია და მისი ყოველი დადგენილება ქაღალდზე დარჩება, თუ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ბოლოსდაბოლოს არ შეიგნო ამ საქმეში მისი ჩარევის აუცილებლობა.

ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოვლინებისა და მათი გამოწრთობის მიზნით რესპუბლიკურმა კომიტეტმა პირველი ჯგუფის გუნდების გათამაშებაში შემოიღო წესი, რომლის ძალითაც, ყოველ გუნდს მატჩში შეუძლია გამოიყვანოს ოთხი ასაკგადაცილებული ფეხბურთელი. ამ შეზღუდვას თავისი გამართლება აქვს და იგი ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს. მაგრამ პირველი ჯგუფის ბევრი გუნდის ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით მათ, რომელთაც არა აქვთ უნარი და სურვილი რესპუბლიკას აღუზარდონ იმედის მომცემი ფეხბურთელები, არ მოსწონთ ეს პუნქტი. აი სწორედ ეს ვაი მწვრთნელები მიმართავენ ყოველგვარ მაქინაციებს და ხრიკებს.

ფეხბურთის რესპუბლიკურმა სექციამ, ამას წინათ, მიიღო პროტესტი, სადაც ეწერა, რომ ფოთის გუნდის წევრი მალახოვი განაცხადში შეტანილ იქნა როგორც 1939 წელში დაბადებული, რაც სიმართლეს არ შეეფერება. მალახოვმა თავის გასამართლებლად წარმოადგინა ახალი პასპორტი (?), რომელიც ემთხვეოდა განაცხადში აღნიშნულ დაბადების თარიღს. შემდეგ მას მოთხოვეს მეტრიკული ამონაწერი. მალახოვმა ესეც წარმოადგინა, მაგრამ აქ გაიხსნა საქმე... მეტრიკული ამონაწერი თურმე გადასწორებული ყოფილა. სათანადო ორგანიზაციებში შემოწმებით დადასტურდა, რომ მალახოვი სინამდვილეში დაბადებულია 1932 წელს.

სექციის სხდომაზე მას სამჯერ შეეკითხნენ, რომ ეთქვა სიმართლე თავისი დაბადების შესახებ. იგი ჯიუტად იმეორებდა — „1939 წელში!" როცა ყველაფერი დადასტურდა, მალახოვმა უტიფრად განაცხადა, რომ ამ სიყალბეში დამნაშავე მარტო იგი არაა. ეს ჩვენთვისაც ცხადია. ამ სიყალბეში პირველი დამნაშავეა გუნდის მწვრთნელი, რომლის უშუალო მონაწილეობით და მითითებით ხდებოდა დოკუმენტების გადასწორება. ის ალბათ არც ფიქრობდა, რომ თუ მან დღეს მალახოვს გადაუსწორა მეტრიკა, ხვალ თვითონ გადაასწორებს სხვა რაიმე დოკუმენტს და ზეგ შეიძლება საბრალდებულო სკამზეც აღმოჩნდეს. ამ საქმეში ბრალი მიუძღვის აგრეთვე ფოთის მილიციის საპასპორტო განყოფილებას, რომელიც, როგორც ჩანს, ყოველგვარი შემოწმების გარეშე იძლევა პასპორტებს. ეჭვი გვეპარება აგრეთვე მახარაძის რაიმილიციის მიერ ფეხბურთელებზე (დოლიძე, დუმბაძე, ხომერიკი, ცერცვაძე) გაცემული პასპორტების სისწორეზე. ჩვენ გვგონია, მალახოვის საკითხი ფოთის სათანადო ორგანიზაციების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. იგი და მისი მწვრთნელი მკაცრი გაკიცხვის ღირსნი არიან.

რახან ფეხბურთზე გვაქვს ლაპარაკი, არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ ერთ მეტად აღმაშფოთებელ ფაქტსაც. მარნეულისა და თეთრი წყაროს ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული მატჩის დროს სტუმრად ჩამოსულ მარნეულელებსა და თეთრწყაროელ გულშემატკივრებს შორის მოხდა აურზაური და, ასე გასინჯეთ, კინაღამ მსხვერპლსაც ჰქონდა ადგილი, მატჩის მსვლელობა შეფერხდა. ანალოგიური ამბავი მოხდა ზესტაფონშიც. როდესაც სექციაზე ეს საკითხი ირჩეოდა, ზოგი ცდილობდა ტრიბუნებზე მომხდარი ამბავი არ დაეკავშირებინა მატჩთან. ეს არაა მართალი. ტრიბუნებზე მომხდარი უსიამოვნება მნიშვნელოვნად განპირობებული იყო მოედანზე მიმდინარე სპორტული ბრძოლით.

აი რას წერს ზესტაფონის რაიონული გაზეთი „ლენინელი" ამ მატჩის შესახებ: „დასკვნა ასეთია: „იმერეთში" (ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი ს გ უ ნ დ ი ს ს ა ხ ე ლ ი ა. რ ე დ.). ძირითადად უნდა მოხდეს შემადგენლობის გადახალისება. გუნდიდან გამოყვანილ უნდა იქნას მოხულიგნო ფეხბურთელები, რათა ის სამარცხვინო ამბავი, რაც 8 ივნისს მოხდა სტადიონზე, არასოდეს არ განმეორდეს. საჭიროა ფეროშენადნობთა ქარხნის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, კომკავშირის კომიტეტმა და ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა თავი დაანებონ ზოგიერთი ფეხბურთელისადმი მაამებლობის გამოჩენის მავნე „ტრადიციას". ბოლოსდაბოლოს მოედანზე უნდა გამოვიყვანოთ არა ხულიგნები, არამედ სპორტული ეთიკის მქონე ახალგაზრდები, რომლებიც არასოდეს არ შეარცხვენენ რაიონის სახელს". „ლენინელიდან" ამოწერილ ამ ციტატას კომენტარი არ სჭირდება. სრული სიმართლეა!

სტადიონზე წესრიგის დამყარება ადგილობრივი ხელმძღვანელობის ვალია. თუ ეს საქმეც არ მოგვარდა, მაშინ რესპუბლიკური კომიტეტი იძულებული იქნება არ ჩაატაროს იქ მატჩები, ან სრულებით მოხსნას გათამაშებიდან გუნდი. წესრიგის დამყარება კი ძნელი საქმე არაა, თუ ადრევე მოვაწყობთ მის ორგანიზაციას — დავრაზმავთ პარტიულ, კომკავშირულ, ფიზკულტურულ აქტივს, დროულად გავაფრთხილებთ ადგილობრივ ადმინისტრაციას და, რაც მთავარია, ვიზრუნებთ სპორტული ბაზის მოწყობაზე.

რესპუბლიკის სპორტული ინტერესები მოითხოვენ არ დავუშვათ ჩვენს რიგებში ყოყლოჩინები, ზარმაცები, დებოშიორები. ისინი უნდა განიკვეთონ ჩვენგან, რათა მორალურად და ტექნიკურად განმტკიცდეს კოლექტივი, რომელიც 1959 წელს წარსდგება საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე.

## ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში

მოსკოვიდან მე-17 კილომეტრზე მდებარე „ლოკომოტივის" სტენდზე დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირადგუნდური პირველობა სასტენდო სროლაში. 200 მონაწილეს შორის იყვნენ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ნიკანდროვი, სპორტის ოსტატი ნ. დურნევი, ევროპის პირველობის პრიზიორები თბილისელი ბ. ანტონოვი და ნ. მოგილევსკი, ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრები ზ. მაჩხანელი, ვ. გილევი, ვ. სტეპინი და სხვ.

ჩემპიონატის პროგრამაში შეტანილი იყო მხოლოდ ის სახეობანი, რომლებიც შედის მომავალი მსოფლიო პირველობის პროგრამაში (მსოფლიო პირველობა წელს პირველად გაიმართება საბჭოთა კავშირში) — ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლა.

ცუდი ამინდი — ძლიერი ქარი და ცივი წვიმა უარყოფითად მოქმედებდა სპორტსმენთა მაჩვენებლებზე. ევროპის ჩემპიონმა ნ. დურნევმა მრგვალ სტენდზე 100 გასროლიდან მხოლოდ ერთხელ ააცილა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა ბ. ანტონოვმა დააგროვა 96 ქულა. უფრო ცუდად გამოვიდა ანტონოვი მეორე დღეს და ვერ შეძლო საპრიზო ადგილის მოპოვება. ჩემპიონი გახდა ნ. დურნევი.

ორი სახეობის ჯამში გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „სპარტაკის" მესტენდურებმა.

15 ივნისს მინსკში სტარტი მიეცა საკავშირო მრავალდღიან ველორბოლას, რომელშიც მონაწილეობენ 14 მოკავშირე რესპუბლიკის მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი სპორტსმენები.

პირველი ეტაპი — მინსკი-ვილნიუსი ყველაზე სწრაფად გაიარა პ. ვოსტრიაკოვმა (ლენინგრადი), რომელმაც 212 კილომეტრი დაფარა 6 საათში, 2 წუთსა და 15 წამში. „სპრინტერული" იყო მონაწილეთათვის მეორე ეტაპი (ვილნიუსი-კაუნასი). აქ 100-ზე მეტი კილომეტრის გავლას უკრაინელმა ნ. ეჩკენკომ ყველაზე ცოტა დრო მოანდომა, მაგრამ რბოლის ლიდერის მაისური მაინც პ. ვოსტრიაკოვს დარჩა. მესამე ეტაპზე პირველი იყო ლენინგრადელი ვ. რომანოვი.

მეოთხე ეტაპის შემდეგ ველორბოლის ლიდერი გახდა ნ. ეჩკენკო, რომელმაც ეს საპატიო წოდება მეექვსე ეტაპზეც შეინარჩუნა.

მეშვიდე ეტაპზე ძნელი იყო იმის თქმა, თუ ვინ მოიპოვებდა გამარჯვებას, რადგან ზურგის ქარის წყალობით სპორტსმენებმა ძალზე დიდი სისწრაფე განავითარეს. დროდადრო რბოლის სიჩქარე 60-მდე კილომეტრს აღწევდა. ლენინგრადში, სადაც დანიშნული იყო ეტაპის ფინიში, პირველი მივიდა ამ ქალაქის მკვიდრი ე. კასაკი.

შვიდი ეტაპის ჯამში კვლავ წინაა ნ. ეჩკენკო. გუნდურ ჩათვლაში პირველობას ინარჩუნებენ რუსეთის ფედერაციის სპორტსმენები.



ს უ რ ა თ ზ ე: მრავალდღიანი ველორბოლის სტარტი მინსკის ცენტრალურ მოედანზე.

ფოტო ვ. ლუპეიკისა.

საკდესის ფოტოქრონიკა.

# კიდევ ერთხელ „ვარსკვლაური სენის“ შესახებ

ჩვენს რედაქციაში აუარებელი წერილი შემოდის ფეხბურთის მოყვარულთაგან, რომლებიც გვთხოვენ მივწეროთ, თუ რატომ არ თამაშობდნენ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში ე. სტრელცოვი, ბ. ტატუშინი და მ. ოგონკოვი.

გაზეთ „კომსომოლსკაია“ პრავდას“ ა. წ. 22 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ იქნა სტატია „კიდევ ერთხელ „ვარსკვლაური სენის“ შესახებ“, რომელიც ნათელ პასუხს იძლევა ამ საკითხზე. ვსარგებლობთ შემთხვევით და ვბეჭდავთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილს.

დიახ, სტრელცოვი არ თამაშობდა ნაკრებში. სიცრუე გამოდგა ყველა მისი წერილობითი და ზეპირი განცხადება იმის შესახებ, რომ მან დაჰგმო თავისი ყოვლად უჯამსო საქციელი. იმ დროს, როცა ჩვენი ფეხბურთელები ემზადებოდნენ საპასუხისმგებლო თამაშებისათვის უცხოეთის სტადიონებზე, სტრელცოვი უღირსი აღმოჩნდა იმ მაღალი ნდობისათვის, რომელსაც მის მიმართ იჩენდნენ კოლექტივი, საზოგადოებრიობა. სტრელცოვი, თავისი ჩვეულებისამებრ, დათვრა, ჩაიდინა უმძიმესი სისხლის სამართლის ბოროტმოქმედება და მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე, როგორც ხულიგანი და მოძალადე.

როცა სტრელცოვი მილიციაში მოხვდა, იგი დარწმუნებული იყო, რომ მისთვის, ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელისათვის, საკმარისია თავისი სახელის დასახელება და მას მცირე დატუქსვის შემდეგ მაშინვე გაუშვებდნენ ოთხივე მხარეს.

რას იზამ, ამ დარწმუნებულობას თავისი საფუძველიც ჰქონდა. რაც არ უნდა ექნა სტრელცოვს, რა დანაშაულიც არ უნდა ჩაედინა, მას ყოველთვის აპატიებდნენ ხოლმე. იგი სასტიკად უნდა დაესაჯათ, ამის მაგივრად კი უმღერდნენ დითირამბებს, არწმუნებდნენ, რომ ის „გამოჩენილია“, „შეუცვლელი“, „განსაკუთრებული“. „გამოჩენილი“ და „განსაკუთრებული“ კი ყველას თვალწინ თანდათან ლოთად და დებოშიორად იქცეოდა.

— საიდან აქვს ეს ედიკას? — სინანულით აქნევდა თავს ამას წინათ „ტორპედოს“ გუნდის უფროსი ვლადიმერ ისტრებოვი, წარსულში ავტოქარხნის კომსორგი. — როცა ედიკა გუნდში მოვიდა, მაშინ ხომ იგი არ სვამდა და არც წევდა...

იმ დროს იგი მართლაც არც სვამდა და არც წევდა. მაგრამ პირველივე წარმატებებმა თავბრუ დაახვიეს სტრელცოვს. პირველ წარმატებებს თან მოჰყვა პირველი დებოში, შემდეგ მეორე, მესამე. ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელის ლოთური თავაწყვეტილობის შესახებ ქარხანაში ხმა ამოიღეს ჯერ ჩუმად, შემდეგ კი სულ უფრო ხმამაღლა და ხმამაღლა. ან როგორ არ ამოეღოთ ხმას, როცა სტრელცოვი გახეთქილი მთვრალი გამოცხადდა ავტოქარხნის კულტურის სასახლეში, ატეხა ჩხუბი, სცემა თავის ამხანაგს და თავს დაესხა მილიციელს, რომელიც მის დაშოშმინებას ცდილობდა.

სტრელცოვი მოითხოვდა, რომ სასახლეში დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო თვით ქარხნის დირექტორი კრილოვი — ის პირადად გაერკვევა ყველაფერშიო...

აპირებდნენ დებოშიორის გაყვანას კლუბიდან, ის კი განაგრძობდა ყოყლოჩინობას

— ახ, ასე ხომ? მიმიფურთხებია თქვენთვის, წავალ სხვა გუნდში...

ქარხნის ხელმძღვანელებსაც უნდა ეღლოთ და როგორც საჭირო იყო, დაესაჯათ ხულიგანი არა მარტო იმისათვის, რომ იგი ჩხუბს ტეხავს, არამედ იმისთვისაც, რომ აფურთხებს კოლექტივს, რომლის წევრიც თვითონაა. მაგრამ მაღალთანამდებობიანი გულშემატკივრები სასიკვდილოდ იყვნენ დაშინებული იმით, რომ სტრელცოვი მართლაც შეასრულებს თავის მუქარას და „ტორპედოდან“ სხვა საზოგადოებაში გაიქცევა. და რომ მოეგოთ „ნორჩი“ თავდამსხმელის გული, მას მოფერება და წახალისება დაუწყეს. სტრელცოვი ლოთობდა, მას კი ფულად პრემიებს აძლევდნენ, მით უმეტეს, რომ ავტოქარხნის კოლექტივი წარმატებით ასრულებდა გეგმას.

სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა ითქვას, რომ სტრელცოვი და სხვა ფეხბურთელები სარგებლობდნენ არა მარტო ადგილობრივი მეცენატების გულუხვობით. სახალხო მეურნეობის მოსკოვის საქალაქო საბჭომაც გადაწყვიტა მოფერებოდა თავის რჩეულებს და საკმაოდ მსხვილი თანხა გამოჰყო მათი დაჯილდოებისათვის. ერთი სიტყვით, ლოთობისათვის სტრელცოვს მყარი მატერიალური ბაზა შეექმნა.

სტრელცოვისა და ზოგიერთი მისი მეგობრის უწესო საქციელისა და ლოთობის შესახებ ხმა ამოიღო მრავალტირაჟიანმა გაზეთმა „მოსკოვის ავტოქარხნელმა“. ყველა აღშფოთებული იყო. მათ შორის მეცენატებიც კი. მაგრამ არა იმით, რომ სტრელცოვი დათვრა და აყალმაყალი ატეხა, არამედ იმით, რომ ქარხნის გაზეთმა გაბედა შეხებოდა ცენტრალური თავდამსხმელის პიროვნებას. მაგრამ მუშკორები მხდალი ხალხი როდი აღმოჩნდა. ისინი განაგრძობდნენ სტრელცოვის კრიტიკას გაზეთში. აი ამის ატანა კი უკვე აღარ შეეძლოთ მეცენატებს. ქარხნის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მოღვაწემ ა. ი. ფატეევმა კატეგორიულად აკრძალა სტრელცოვის სახელის ხსენება გაზეთის ფურცლებზე.

— ნუ უშლით ედიკას ხელს გოლების გატანაში. თითქოს სხვა საქმე არა გქონდეთ!

მაგრამ სწორედ იმ დროიდან, როცა სტრელცოვს საბოლოოდ ასცდა კრიტიკა, ის სულ უფრო და უფრო იშვიათად ახვედრება ჩვენს კარში. გაცილებით ხშირად ხვდებოდა იგი მილიციის სხვადასხვა განყოფილებაში.

ერთხელ ღამით საკოლმეურნეო მოედანზე სტრელცოვს უცნაურმა აზრმა გაუელვა თავში: იგი შეიჭრა უცნობ ბინაში, შიშით გულები დაუხეთქა ძილში მყოფ მობინადრეებს და გააფთრებული შეუდგა ჭურჭლის მტვრევას. ხულიგანი მილიციაში მიაბრძანეს.

ავტოქარხნის მეცენატები დაფაცურდნენ. ისინი თავიანთ ძირითად დანიშნულებას იმაში ხედავდნენ, რომ ეხსნათ სტრელცოვი „ნემეზიდის მახვილისაგან“. ქარხკომმა წერილობითი თხოვნა შეადგინა, რათა სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცათ „გამოჩენილი“ და „განსაკუთრებული“. ქარხკომის მუშაკებმა ხრიკს მიმართეს. შუამდგომლობასთან დართულ დახასიათებაში ისინი წერდნენ, რომ სტრელცოვი „...კეთილსინდისიერად და კორექტულად ეპყრობა თავის ამხანაგებს, წესიერად იქცევა კოლექტივში“. და სტრელცოვი როგორც „გამოჩენილი“ და „განსაკუთრებული“ გაშვებულ იქნა.

აი სწორედ აქ უნდა ეთქვათ მაღალთანამდებობიან „კეთილმოსურნეებს“ ყმაწვილისათვის:

— მოდი, ბოლოსდაბოლოს, ჭკუაზე. ფეხბურთი — ფეხბურთია, მაგრამ ადგილი ცხოვრებაში შენ ჯერ მოსაძებნი გაქვს. კარგი სამუშაო სპეციალობა არ გაგაჩნია. ისწავლე, შეიძინე ცოდნა და კულტურა. იმის მაგივრად, რომ დრო ატარო თავაშვებულ ლოთობაში, ჩაუჯექი წიგნს, წადი თეატრში.

მაგრამ ეს არავის უთქვამს. მეცენატები ისევე როგორც თვითონ სტრელცოვი, ცხოვრობდნენ მხოლოდ დღევანდელი დღით: ელვისებური გარღვევით, ეფექტური ფინტით და, რასაკვირველია, მატჩში გატანილი გოლით. ყველა ფიქრობდა მხოლოდ ფეხბურთელზე და არავის უნდოდა ეფიქრა ადამიანზე.

როგორც ადამიანი კი სტრელცოვი უღიმღამო და ჩამორჩენილი იყო. მისი არაკომპეტენტურობა სავსებით პრიმიტიულ საკითხებში გაოცებასა და ღიმილს იწვევდა ამხანაგებს შორის. მას გულწრფელად სწამდა, რომ სოჭი კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, ხოლო წყალი ზღვაში იმის გამოა მლაშე, რომ იქ სელდი დაცურავს

აქ გასაკვირი არაფერია: გუნდში ყოფნის დროს მან მხოლოდ ერთი სასწავლო დაწესებულება დაამთავრა — შოფრების კურსი და ისიც აუცილებლობის გამო: მეცენატებმა შეუწყვეს ხელი „პობედის“ ყიდვაში.

მაგრამ „პობედა“ უფრო მეტად გარაჟში იდგა, ვინაიდან ხაკლებობას ტრანსპორტში სტრელცოვი არ განიცდიდა. მეცენატები მზად იყვნენ მისთვის — „ზილები“, „ზიმები“ და მთელი ავტობუსებიც კი მიერთმიათ, თუმცა ზოგჯერ მას მგზავრობა უხდებოდა იმ მანქანითაც, რომელსაც გარს წითელი ზოლი აკრავს.

მიმდინარე წლის იანვარში „გამოჩენილი“ და „განსაკუთრებული“ კვლავ მოხვდა ორგანოების ხელში იმ უბრალო მიზეზით, რომ გალეშილმა მთვრალმა ვერაფრით ვერ მოახერხა მეტროში მოხვედრა. მორიგემ ცენტრალური თავდამსხმელი უკან გამოაბრუნა. მაშინ ცენტრი თავს დაესხა პირველ შემხვედრს. მან იარაღის სახით გამოიყენა სპორტის დამსახურებული ოსტატის მოწმობა: სწორედ ამ საბუთით ურტყამდა იგი გამვლელს სახეში.

ეს, რასაკვირველია, გათავდა იმით, რომ სტრელცოვმა კვლავ მილიციაში ამოჰყო თავი. მაგრამ იგი აქაც განაგრძობდა ჩხუბს და გინებას. ერთი სიტყვით, „ცენტრის“ მოქმედებანი, როგორც ეს ფიქსირებულ იქნა ოქმში, ზუსტად ექვემდებარებოდა სისხლის სამართლის კოდექსის სტატიებს.

მაგრამ სტრელცოვმა ვერც მოასწრო მილიციაში მისვლა, რომ განყოფილების უფროსის კაბინეტში აწკრიალდა ტელეფონი:

— თქვენ იცით ვინ დააპატიმრეთ? ეს ხომ სტრელცოვია, ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელი! თუ ღმერთი გწამთ, ნუ ატეხთ ხმაურს.

განყოფილების უფროსი მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. იგი თვითონაც არანაკლებ აფასებს სტრელცოვს როგორც ფეხბურთელს, ვიდრე მისი ქომაგები. მაგრამ სადაა გამოსავალი? კანონი ხომ ყველასათვის ერთია: მათთვისაც, ვინც თამაშობს ფეხბურთს და მათთვისაც ვინც მას უყურებს.

მაგრამ ტელეფონის ზარი არ წყდება. და განყოფილების უფროსი თვალს ხუჭავს თავისი სინიდისის წინაშე, აძლევს საქმეს სასამართლოში და დაპატიმრებულის ბოროტმოქმედებას აფორმებს როგორც მხოლოდ უმნიშვნელო ხულიგნობას.

ამ საქმეს კი სასამართლოში ფეხდაფეხ მიჰყვება ქომაგების მყვირალა ჯგუფი, რომელსაც არ ესმის, რომ დაცვა სჭირდება საბჭოთა ფეხბურთს და არა გამოუსწორებელ ლოთებს.

— შეიბრალეთ სტრელცოვი. მას ხომ სულ მალე თამაში აქვს..

სტრელცოვის დამცველები ფართო ფრონტით გადადიან იერიშზე. ისინი მოსამართლეს უტევენ როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმებით. სასამართლოში მიმართვა გაგზავნა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმაც: სასამართლოზე ადვოკატების როლში გამოდიან ისეთი ავტორიტეტული ადამიანები სპორტის დარგში, როგორც მ. იაკუშინია. მიზანი ყველას ერთი აქვს: დაიცვას ხულიგანი.

— ეს პირველი შემთხვევაა იგი შეუბღალავი საქციელისაა, — ამტკიცებენ ისინი, თუმცა მშვენივრად იციან, რომ ეს შემთხვევა არა თუ პირველი არაა, ალბათ, უკანასკნელიც არ იქნება.

ლენინგრადის რაიონის 1-ლი უბნის გულაჩუყებული მოსამართლე წერს განაჩენში: „მიიღო რა მხედველობაში, რომ სტრელცოვი მიემგზავრება გუნდთან ერთად, სასამართლოს შესაძლებლად მიაჩნია მიიღოს მის მიმართ სასჯელის მინიმალური ზომა“. და სტრელცოვმა მიიღო მხოლოდ 3 დღე-ღამის პატიმრობა.

მაგრამ გუნდთან ერთად მას გამგზავრება მაინც არ ეწერა. სტრელცოვი ნაკრები გუნდის მოთამაშეთა მოთხოვნით გამოყვანილ იქნა ნაკრებიდან. და აი მაშინ პირველად მრავალი წლის მანძილზე ალკკ პროლეტარულმა რაიკომმა გაიხსენა, რომ სტრელცოვი კომკავშირელია. ცენტრალური თავდამსხმელი გამოძახებულ იქნა ალკკ რაიკომის ბიუროზე. რაიკომის ბიუროს წევრები და თათბირზე გამოძახებული ალკკ საქარხნო კომიტეტის წევრები ღრმად აღშფოთებული იყვნენ ხულიგნის საქციელით. მათ წინადადება შეიტანეს კომკავშირიდან სტრელცოვის გარიცხვის შესახებ.

საკითხის ასეთი დაყენება სრულიადაც არ ეპიტნავებოდათ რაიონის ხელმძღვანელებს.

— როგორ, „გამოჩენილი“ და „განსაკუთრებული“ უცებ ავიღოთ და გავრიცხოთ?

სიტყვა აიღო ალკკ რაიკომის პირველმა მდივანმა ვიქტორ პოლიშჩუკმა. დასაწყისისათვის მდივანმა მოიყვანა „ფართო რუსული ნატურის“ ბუნდოვანი განსაზღვრა, მერე გადაჭრით შეუდგა იმის მტკიცებას, რომ სწორედ ასეთი ნატურა აქვს ედუარდს. პოლიშჩუკის გამოსვლაში სჭვიოდა, რომ ედიკა არსებითად კარგი ადამიანია, რომ იგი გონზე მოვა, გამოსწორდება და ამიტომ მისთვის სავსებით საკმარისია სასტიკი საყვედური, ხოლო საფეხბურთო მინდორზე იგი დატოვებულ უნდა იქნას, ვინაიდან სტრელცოვი გოლებით გამოისყიდის თავის დანაშაულს.

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ფელეტონს „ვარსკვლაური სენი“ სტრელცოვის ქარხნელი მეცენატები აშკარა აღშფოთებით შეხვდნენ. იმავე ფატეევმა ქარხნის მრავალტირაჟიან გაზეთში აკრძალა გადაბეჭდვა ფელეტონისა, რომელიც ქარხანას ეხებოდა. მალე ჟურნალმა „სპორტივნაია ჟიზნ როსიი“ მოათავსა კარიკატურა სტრელცოვზე. აი აქ კი აღევსო მოთმინების ფიალა ქარხკომის თავმჯდომარეს გ. პ. სოფრონოვს. მან დარეკა რედაქციაში და თავისი გულისწყრომა გამოთქვა. სოფრონოვის არგუმენტაცია ერთობ საოცარი იყო. მისი სიტყვებით, პრესა მას ხელს უშლის „გამოჩენილისა“ და „განსაკუთრებულის“ აღზრდაში.

„კომსომოლსკაია პრავდას“ გამოსვლის შემდეგ სტრელცოვმა სამხრეთიდან გამოგზავნა მონანიების წერილი რედაქციაში. ქაღალდზე იგი აღიარებდა თავის შეცდომებს, მაგრამ სინამდვილეში თურმე განაგრძობდა ხულიგნობას. სტრელცოვი მონაწილეობდა ლოთობაში სოჭში, ამის შემდეგ დათვრა კიშინიოვში. ყველაფერი ეს ხდებოდა გუნდის უფროსის ისტრებოვის, მწვრთნელის მასლოვისა და ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული მეცენატის, ქარხკომის თავმჯდომარის პლატოვის თვალწინ, რომელიც ზედამხედველად დაჰყვებოდა გუნდს სამხრეთის ქალაქებში. ყველაფერი ამის შესახებ კარგად იცოდნენ ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ ანდრიანოვმა და ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ანტიპიონოკმა.

მოკლედ, მთელი ამ ისტორიიდან სტრელცოვმა გაიგო მხოლოდ ერთი: მას ყველაფრის უფლება აქვს, მასზე არ ვრცელდება საბჭოთა კანონები.

სტრელცოვი გადაიქცა სოციალურად საშიშ ელემენტად, ხოლო ... [illegible] ... ხოტბას ასხამდნენ. ... სტრელცოვი — სისხლის სამართლის დამნაშავე გახდა, მეცენატებს არ სურთ შეიგნონ, რომ სწორედ ისინი არიან „ვარსკვლაური სენის“ წარმომშობნი, რამაც ასეთი გამოუსწორელი გართულებანი გამოიწვია.

— სტრელცოვი გამოჩენილი სპორტსმენია, — განაგრძობს მტკიცებას ქარხკომის თავმჯდომარე სოფრონოვი.

ჩვენ ვეკითხებით სოფრონოვს. რა საფუძველზე მიიღო სტრელცოვმა ახალი ბინა, როცა მას ორი ოთახი უკვე ჰქონდა. განა ახალგაზრდა, 20 წლის მუშებს ავტოქარხანა აძლევს ცალკე ბინებს?

— კი მაგრამ, რა შესადარებელია სტრელცოვი ახალგაზრდა მუშებთან! — აღშფოთებულია სოფრონოვი. — სტრელცოვი გამოჩენილი პიროვნებაა. ჩვენ გვინდოდა მოვხმარებოდით მას ცოლთან ნორმალური ურთიერთობის მოგვარებაში.

მაგრამ სტრელცოვმა ცოლი გამოაგდო ძუძუმწოვარა ბავშვით ხელში როგორც კი შესახლდა ახალ ბინაში: ცოლი ხომ გადაჭრით იბრძოდა თავისი მეუღლის ლოთობისა და დებოშის წინააღმდეგ.

— რა ვუყოთ, სვამდა ედიკი, — ამბობს სოფრონოვი — რაა აქ უჩვეულო?

ქარხკომის თავმჯდომარის ასეთი მსჯელობის შემდეგ ჩვენთვის კიდევ უფრო ნათელია, თუ რატომ ჩაესვენა ასე ტრაგიკულად „ფეხბურთის ვარსკვლავი“.

* * *

მთელი ამ ისტორიის შესახებ შეიძლება არც ღირს ასე დაწვრილებით ლაპარაკი. მაგრამ საქმე მხოლოდ სტრელცოვში არაა. „ტორპედოს“ იმავე გუნდში მილიციასა და პროკურატურასთან უკვე ჰქონდათ საქმე ფეხბურთელებს ოსტროვსკის, არბუტოვს, მეტრეველს. გარდა ამისა, სხვა გუნდებშიც არიან „ვარსკვლაური ბიჭები“ და — რაც უფრო საშიშია — მრავალრიცხოვანი ხელმძღვანელი და არახელმძღვანელი მეცენატები. განა შემთხვევითია, რომ მთვრალ კომპანიაში, სადაც ჩადენილ იქნა ბოროტმოქმედება, მოხვდნენ მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელები ოგონკოვი და ტატუშინი? შემთხვევითი არაა, რომ ამ ხულიგნებს ქალაქგარეთ თავისი აგარაკი დაუთმო „მოსოვოშჩის“ № 88 მაღაზიის დირექტორმა ს. დ. კარახანოვმა, რომ ბოროტმოქმედებას ხელს უწყობდა მისი შვილი, მოფეხბურთელო გულშემატკივარი ედუარდ კარახანოვი, რომელმაც რაღაც გაუგებრობით მიიღო ოფიცრის სამხრეები.

სამწუხაროდ, შეუძლებელია ჩამოთვლილ იქნას ყველა ის, ვინც თავის თავს ფეხბურთის მოსიყვარულედ და მფარველად თვლიდა და ხელი შეუწყო სტრელცოვს ბოროტმოქმედის სკამზე დაჯდომაში. ეს ისინი არიან, რომლებიც საპასუხისმგებლო თამაშის წინ რეკავდნენ გუნდში და რჩევასა და მითითებებს აძლევდნენ მოთამაშეებსა და მწვრთნელებს. ეს ისინი არიან, რომლებიც არბენინებდნენ საჩუქრებით დატვირთულ კურიერებს ცენტრალური თავდამსხმელის სახლში, ქმნიდნენ მლიქვნელობის ატმოსფერას, შეუდარებლობის შარავანდედს საფეხბურთო „ვარსკვლავების“ სახელების გარშემო. ამ ადამიანთა მოქმედება არ ექვემდებარება სისხლის სამართლის კოდექსის არც ერთ სტატიას. მაგრამ საზოგადოებრიობის სასამართლო უნდა აღსრულდეს. ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღმოვფხვრათ საბჭოთა სპორტიდან „ვარსკვლაური სენი“.

**ნ. ფომიჩევი,**
**ი. შატუნოვსკი.**

„კომსომოლსკაია „პრავდა“,
22 ივნისი, № 145.



სურათზე: საქართველოს 1958 წლის ჩემპიონები ნიჩბოსნობაში მარცხნიდან— ნ. რაზმაძე, ვ. საზონოვი, ლ. ალხაზოვი, ვ. ფირალოვი, ი. ზელენსკი, ო. შალიაპინი, ლ. პლუჟნიკოვი.

# ღვაწლმოსილი იუბილარი



ნ. კეცხოველი

გუშინ, 25 ივნისს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორის ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე კეცხოველის დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავი. ღვაწლმოსილი იუბილარისადმი მილოცვებს ხმას უერთებს ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობაც, ვინაიდან ნ. კეცხოველი ყოველთვის იყო და არის ახალგაზრდობის ცოდნით აღჭურვასთან ერთად, მისი ფიზიკური განვითარების, სამამულო სპორტის აღორძინების თვალსაჩინო ენთუზიასტი.

ნ. კეცხოველის ცხოვრება და მოღვაწეობა წარმოადგენს იმის თვალსაჩინო ნიმუშს, თუ მშობლიური ქვეყნის სიყვარულმა, მრავალმხრივმა მეცნიერულ-საზოგადოებრივმა ინტერესებმა და დაუცხრომელმა, ბეჯითმა შრომამ როგორ მოიყვანა ღარიბი გლეხის ბიჭი ცხოვრების ძნელი გზებით აკადემიკოსის, ფართოდ აღიარებული მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მაღალ წოდებამდე.

ნ. კეცხოველი დაიბადა 1897 წლის 26 დეკემბერს, გორის მაზრის სოფელ ტყვიავში. 1905 წელს 8 წლის ბავშვი სტრაჟნიკების მიერ ექვმიტანილი, პროგრესულად განწყობილი ოჯახიდან აწიოკების შიშით თბილისში გახიზნეს, სადაც, 1907 წელს, იგი ქართულ გიმნაზიაში შევიდა. მისი დამთავრების შემდეგ, 1918 წელს, ნ. კეცხოველი თბილისის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე იწყებს სწავლას და უკვე მეორე კურსიდანვე გატაცებით მონაწილეობს ბოტანიკის კათედრის მუშაობაში. მშობლიური ბუნების სიყვარულს და მისი შესწავლის სურვილს ორგანულად დაუკავშირდა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკის ცხოველი ინტერესი მოგზაურობისადმი. სტუდენტობისა თუ კათედრაზე დამოუკიდებელი მუშაობის დაწყების წლებში, ბოტანიკის კათედრის გამგეობისა თუ უნივერსიტეტის რექტორობის პერიოდში, აქტუალურ მეცნიერულ საკითხებზე მუშაობას ყოველთვის უთავსდებოდა ინტენსიური მოგზაურობა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, მთასა და ბარში, მშობლიური ქვეყნის ბუნების წიაღში, რომელზე დაკვირვების შედეგადაც იწერებოდა ახალ-ახალი სამეცნიერო შრომები: საქართველოს სარეველა მცენარეთა, სათიბ-საძოვრების, კულტურული მცენარეების, მეხილეობის, მევენახეობისა და სხვათა შესახებ.

მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ნ. კეცხოველი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. 1922 წელს ის ლაბორანტია, 1924 წლიდან პრაქტიკუმებს ატარებს, ხოლო 1927 წლიდან ლექციების კითხვას იწყებს. 1932 წლიდან დღემდე განაგებს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრას, პარალელურად მუშაობდა დედაქალაქის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. 1941 წელს მას საქართველოს პირველ აკადემიკოსთა შორის ირჩევენ, მომდევნო წლიდან კი — აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარედ. 1945-1954 წლების პერიოდში ნ. კეცხოველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია.

ყოველთვის და ყველგან ნ. კეცხოველის პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას წითელ ხაზად მოჰყვება ახალგაზრდობის გულწრფელი სიყვარული. ამ სიყვარულის დადასტურებაა კერძოდ ის ხანგრძლივი სამწერლო პერიოდი, რომელიც 1911 წლიდან დღემდე გრძელდება და რომლის განმავლობაშიც ნ. კეცხოველმა 300-ზე მეტი საბავშვო მოთხრობა და რამდენიმე წიგნი დაბეჭდა. ამ სიყვარულის დადასტურებაა აგრეთვე ის დიდი ყურადღებაც, რომელსაც ის ფიზკულტურისა და სპორტისადმი იჩენს; 1945 წლიდან ნ. კეცხოველი საქართველოს ალპინისტთა სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეა და დღესაც შეუნელებელი ენერგიით მონაწილეობს მის საქმიანობაში: მიმდინარე წლიდან ის სათავეში ჩაუდგა აგრეთვე სპელეოლოგიურ კომისიას, რომლის წინაშეც არა მარტო დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული საკითხები, არამედ სპორტული ხასიათის პრობლემებიც დგას.

ამიტომაა, რომ ღვაწლმოსილი იუბილარის ამ სამახსოვრო დღეებში, სხვებთან ერთად, ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობაც გამოხატავს მის მიმართ კეთილ სურვილებსა და პატივისცემას.

**შ. ჯულელი**



სურათზე: ბრძოლა საფარიკაო ბილიკზე, ერთმანეთს ხვდებიან ი. ესაიაშვილი და მოლდაველი ა. პილაევი. ქვევით—მოლდავეთისა და საქართველოს სტუდენტთა შეხვედრა ფრენბურთში.

ფოტო მ. ბორაშვილისა.





# სტუდენტთა თამაშები დაიწყო

**მონაწილეობენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის გუნდები**

პროგრამაშია

ფარიკაობა
ფრენბურთი
ჩოგბურთი
კალათბურთი
მაგიდის ჩოგბურთი
კრივი
კლასიკური ჭიდაობა
თავისუფალი ჭიდაობა
ძალოსნობა
ველორბოლა
ცურვა
ტახვარჯიში
მძლეოსნობა





**თამაშების გახსნა დანიშნულია 29 ივნისს „დინამოს" სტადიონზე.**

# სპორტული დაძაბულობის გარეშე

ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სტუდენტთა ზონალური თამაშების გახსნა წილად ხვდათ მოფარიკავეებსა და ფრენბურთელებს, რომლებმაც პირველებმა აღმართეს გათამაშების ალამი. მოფარიკავეებმა შეჯიბრება დაიწყეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზებში. ორ-ორი გუნდი გამოიყვანეს საქართველომ (ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტები) და აზერბაიჯანმა (სახელმწიფო უნივერსიტეტი და ფიზკულტურის ინსტიტუტი), ერთი გუნდი გამოიყვანა სომხეთის რესპუბლიკამ, ხოლო მოლდავეთი გუნდურ შეჯიბრებაში არ მონაწილეობს.

რაპირისტთა პირველი შეხვედრებიდანვე აშკარა იყო საქართველოს კოლექტივების უპირატესობა თავიანთ მოწინააღმდეგეებზე. ქალთა შორის გუნდური პირველი ადგილის საკითხს წყვეტდა საქართველოს ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების მოფარიკავეთა შეხვედრა. აქ უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის მოფარიკავეები, რომლებმაც დაამარცხეს თავიანთი ძირითადი მეტოქე, ხოლო შემდეგ გაიმარჯვეს ყველა გუნდზე და დაიკავეს პირველი ადგილი. გამარჯვებულ გუნდში გამოდიოდნენ ლ. შეყრილაძე, ლ. გელაშვილი და მ. მარკევიჩი. მეორე ადგილი წილად ხვდათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებს (დ. ბოგატელო, ი. ესაიაშვილი, რ. ნადარეიშვილი). მესამე ადგილზეა სომხეთის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის გუნდი.

ვაჟთა გუნდებში კვლავ ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკავეები დაწინაურდნენ. ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების შეხვედრაში ამჯერად გაიმარჯვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა. შემდეგ მათ დაამარცხეს დანარჩენი მოწინააღმდეგენი და პირველ ადგილზე გამოვიდნენ (ი. ოსიპოვი, გ. ჯაიანი, დ. სანებლიძე). მეორე ადგილი დაისაკუთრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა, მესამე — სომხეთის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტმა.

პირად პირველობაში გამარჯვებისათვის იბრძოდა ოთხივე რესპუბლიკის 34 წარმომადგენელი (17 ქალი, 17 ვაჟი). ქალთა შორის დასკვნით შეხვედრებში მონაწილეობდა 6 მოფარიკავე, აქედან 4 იცავდა საქართველოს სპორტულ სახელს, ხოლო 2 — სომხეთის წარმომადგენელი იყო. ზემოაღნიშნულ ექვსეულში უძლიერესი აღმოჩნდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ი. ესაიაშვილი, რომელმაც 5 მოგებით პირველი ადგილი გაინაღდა. მეორე ადგილი წილად ხვდა ლ. შეყრილაძეს (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომელსაც მხოლოდ ერთი დამარცხება ჰქონდა ი. ესაიაშვილთან. გათამაშებაში მესამე იყო სომხეთის გუნდის წარმომადგენელი ნ. ციმბალი.

ვაჟთა შორის ტოლი არ ჰყავდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს სპორტის ოსტატ ი. ოსიპოვს. აქ ბრძოლა უმთავრესად მეორე ადგილისათვის მიმდინარეობდა ი. დავიდოვსკისა (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელს გ. ჯაიანს შორის.

ამ ორი სპორტსმენის მატჩი ი. დავიდოვსკის გამარჯვებით დამთავრდა.

უნდა ითქვას, რომ სტუდენტ მოფარიკავეთა ეს შეჯიბრება როგორც მაყურებელთა, ისე მასში მონაწილე სპორტსმენთა დიდ ინტერესს არ იწვევს, ვინაიდან სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები ისე სუსტად არიან დაუფლებული ფარიკაობის ტექნიკასა და ტაქტიკას, რომ მათი შეხვედრები ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებთან ყოველგვარი სპორტული დაძაბულობის გარეშე მიმდინარეობს.

შეჯიბრება გრძელდება...

**ზ. ჯანდიერი**

# ფრენბურთის ბადესთან

სტუდენტთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების ვაჟ ფრენბურთელთა ზონალურ ტურნირში ორ-ორი გუნდი გამოჰყავთ აზერბაიჯანს და სომხეთს, თითო-თითო კი — საქართველოსა და მოლდავეთს. პირველობისათვის მებრძოლ გუნდებს შორის ყურადღებას იმსახურებს ორი კოლექტივი — აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდები.

თამაშების პირველ დღეს აზერბაიჯანელი სპორტსმენები შეხვდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელებს, მაგრამ თამაში შეწყდა ანგარიშზე 2:2 (სიბნელის გამო). ეს მატჩი, რომელიც ალბათ პირველობისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი იქნება, გადატანილია უკანასკნელ დღისათვის.

24 ივნისს ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელები შეხვდნენ მოლდაველ სპორტსმენებს. მოწინააღმდეგეთა ძალები არ იყო თანაბარი, სტუმრები საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ თბილისელებს თამაშის კლასში, ამიტომ მასპინძლებმა პირველი პარტია ზედმეტად მშვიდად და ზერელედ ჩაატარეს. მოლდაველებმა ისარგებლეს თბილისელთა გულგრილობით და პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 15:8.

მეორე პარტიაში მასპინძლებმა მთელი ყურადღება მოლდაველთა აგრესიულ თავდამსხმელზე ა. ტიუზე (№ 9) გადაიტანეს. მოლდაველის ყოველ ნახტომს, დარტყმას თბილისელები საიმედო ბლოკით პასუხობდნენ. თანდათან გათამაშდა ნ. მუსხელიშვილი. როგორც ყოველთვის, სასარგებლოდ მოქმედებდა ი. ბოიკო. თბილისელებმა პარტია იოლად მოიგეს — 15:3, მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება, ადვილად მოგებულ პარტიას მოჰყვა ახალი უყურადღებობა მორიგი პარტიის დასაწყისში და მოლდაველები კვლავ დაწინაურდნენ. ძლიერი დარტყმების სერიით თბილისელებმა საბოლოოდ გატეხეს სტუმრების წინააღმდეგობა და გაიმარჯვეს ანგარიშით 15:10.

უკანასკნელ, მეოთხე პარტიაში, მოლდავეთის უნივერსიტეტის ფრენბურთელებმა ბრძოლა ფაქტიურად შეწყვიტეს. მათ უკვე აღარც ენერგია შერჩათ და არც გამარჯვებისაკენ სწრაფვა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა მოიგო რა მეოთხე პარტია, პირველი გამარჯვება ჩაიწერა სატურნირო ცხრილში.

ისევე, როგორც თბილისის გუნდს, (ერთი თამაშიდან) აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივსაც ერთი ქულა აქვს, დაამარცხა სომხეთის გუნდი.

მოგვყავს დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები: ინდუსტრიული ინსტიტუტი (აზერბაიჯანი)-სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი) — 3:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (სომხეთი)-სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოლდავეთი) — 3:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (სომხეთი)-ინდუსტრიული ინსტიტუტი (აზერბაიჯანი) — 3:2.

**ნ. ახვლედიანი**

29 ივნისს სტოკჰოლმში „როსუნდას“ სტადიონზე შედგება ფინალი

28 ივნისს გეტებორგში შედგება მატჩი მესამე ადგილის გამოსარკვევად

# VI, მსოფლიო 1958 წელი

## შვეცია—ბრაზილია

თითქმის მთელი შვეციის ქალაქების ქუჩებში, პარკებში, მაღაზიებში, მიწაზე და ჰაერში გამოკიდებულია პლაკატები და რეკლამები მსოფლიო პირველობის შედეგებით, ციფრებით და სურათებით. გაზეთები კვლავ ვრცელ ადგილს უთმობენ გათამაშების მსვლელობას და მის გარშემო ატეხილ აყიოტაჟს, რადიო დილიდან დალამებამდე ფეხბურთის ამბებზე ლაპარაკობს.

მსოფლიო პირველობის ასეთ პოპულარობას შვეციაში სრული გამართლება აქვს. ჯერ ერთი, ფეხბურთი — ფეხბურთია, მეორეც — შვედების ნაკრები გუნდი გავიდა ნახევარფინალში, რაც ამ ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს სიხარულსა და კანონიერ სიამაყეს იწვევს.

24 ივნისს სტოკჰოლმსა და გეტებორგში შედგა ნახევარფინალური მატჩები.

* * *

### მსოფლიო ჩემპიონი დამარცხდა

რა თქმა უნდა, „ნიუ ულევის“ სტადიონი გეტებორგში ვერ დაიტევდა მატჩის ნახვის ყველა მსურველს. ამიტომ ფეხბურთის მოყვარულები მჭიდრო ალყად იყვნენ შემოხვეული სტადიონს და მოუთმენლად ელოდნენ ახალ ცნობებს „ბრძოლის ველიდან“.

მატჩი თავიდან ბოლომდე მიმდინარეობდა უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში. 25-ე წუთზე გერმანელთა მარცხენა შუამარბმა ზეელერმა გახსნა ანგარიში, მაგრამ მასპინძლებმა მალე შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა.

მეორე ტაიმში შვეციის გუნდის ფორვარდმა, 38 წლის გრენმა გაიტანა მეორე ბურთი, ხოლო შემდგომში მარჯვენა გარემარბმა ჰამრინმა ანგარიში კიდევ ერთი ბურთით გაზარდა.

მატჩი მოიგეს შვედებმა — 3:1.

* * *

### ბრაზილია მართლაც უძლიერესია

ბრაზილიისა და საფრანგეთის გუნდების შეხვედრა დაიწყო ბრაზილიელთა თავბრუდამხვევი შტურმით და ფრანგების კარში პირველივე წუთზე იქნა გატანილი გოლი — 1:0. საფრანგეთის ფეხბურთელები მაშინვე გადავიდნენ საპასუხო იერიშზე. ზედიზედ მოწოდებული ორი კუთხური საჯარიმოს შემდეგ, მე-7 წუთზე კოპამ და ფონტენმა გაითამაშეს კომბინაცია და ფონტენმა გაქვითა გოლი — 1:1. ეს იყო პირველი ბურთი გატანილი ბრაზილიის კარში.

ბრაზილიელთა მარცხენა გარემარბმა ზაგალომ მე-14 წუთზე ძელს მოარტყა ბურთი, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ზუსტად ასევე დამთავრდა კოპას გარღვევა. მალე საფრანგეთის ნაკრებში ტრავმა მიიღო მცველმა ჟონკემ და გუნდი დარჩა 10 კაცის შემადგენლობით. ეს კარგად გამოიყენეს ბრაზილიელებმა და ტაიმის დამთავრებამდე დიდიმ მეორე გოლი გაიტანა — 2:1.

შესვენების შემდეგ ჟონკე დაბრუნდა მინდორზე და კოჭლობით ასრულებდა თავის ფუნქციებს. ბრაზილიელთა უპირატესობა სულ უფრო-დაუფრო აშკარა ხდებოდა. ფრანგები ვერაფერს ახერხებდნენ ვირტუოზული ტექნიკის მქონე მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში და ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელმა პელემ 3 ბურთი გაიტანა მათს კარში. მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლო საფრანგეთის გუნდმა (პიანტონი) კიდევ ერთი ბურთის გატანა და თამაში დამთავრდა ბრაზილიელთა გამარჯვებით 5:2.

ამრიგად, შვეციაში სათამაშო დარჩა მხოლოდ ორი მატჩი. 28 ივნისს მესამე ადგილის გამოსარკვევად გეტებორგში ერთმანეთს შეხვდებიან საფრანგეთისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გუნდები.

29 ივნისს სტოკჰოლმში, „როსუნდას“ სტადიონზე შედგება ფინალი: შვეცია — ბრაზილია.

## ბრაზილია-საფრანგეთი — 5:2, შვეცია-გფრ — 3:1

### წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 8 აპრილის ნომერში მოთავსებული იყო მამხილებელი წერილი — „იბრძოდნენ წაგებისათვის“, რომელიც ეხებოდა კალათბურთში რესპუბლიკურ პირველობაზე მეორე ჯგუფში დაშვებულ ზოგიერთი მონაწილის არასპორტულ საქციელს.

როგორც გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. შეჯიბრების დროს დისციპლინის დარღვევისათვის კალათბურთელ ჯემალ სიდამონიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო მოჭიდავე ბაზერაშვილს მიეცა გაფრთხილება.

## სროლა

შეჯიბრების მესამე დღეს ქალაქის ტირში ჩატარდა პისტოლეტიდან სროლა მოძრავ სილუეტებზე. პირად პირველობაში გამარჯვებული გამოვიდა ო. ცაპკინი (თბილისი) — 526 ქულა. გუნდურ ჩათვლაში წინ იყვნენ თბილისელები.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში 3×20 უძლიერესი აღმოჩნდა აფხაზეთის გუნდის წევრი ა. ტკაჩენკო, რომელმაც 600 შესაძლებლიდან 513 ქულა დააგროვა. გამარჯვებულს ორი ქულით ჩამორჩა თბილისელი გ. პლიტკო. ვ. კაკაურიძე (ქუთაისი) გამოვიდა მესამე ადგილზე — 509 ქულა.

სროლაში საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს თბილისელმა სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე არიან აფხაზეთისა და აჭარის გუნდები.

**ი. ხაბეიშვილი**

## ველორბოლა

ველოსიპედისტთა შეჯიბრება გაიმართა საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე. გოგონათა შორის 25 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის კოლექტივი — 48.05. ვაჟთა 50-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვეს აფხაზეთის სპორტსმენებმა — 1:19.28, ხოლო სხვა გუნდებმა ჩათვლა ვერ მიიღეს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე შეჯიბრებაში თითქმის ყველა კოლექტივმა სუსტად მომზადებული სპორტსმენები გამოიყვანა როგორც პირველ ისე მეორე ჯგუფში. ერთადერთი მაღალი თანრიგი, რომელიც აქ იქნა ნაჩვენები, ეკუთვნის თბილისის პირველი გუნდის წევრს გ. ატლანოვას, რომელმაც გოგონათა შორის 25 კილომეტრზე რბოლაში შეასრულა ოსტატის ნორმატივი—40.00. ვაჟთა შორის 75-კილომეტრიან დისტანციაზე ფინიშთან პირველი იყო აფხაზეთის გუნდის წარმომადგენელი დ. სამსონაძე — 2:18.26. მეორე ჯგუფში გაიმარჯვა თბილისის მეორე გუნდის წევრმა ს. ვაშაკიძემ, რომელმაც სამსონაძეზე ბევრად უკეთესი შედეგი — 2:14.11 აჩვენა, მაგრამ სათანრიგო ნორმატივის შესრულება ვერც მან შეძლო.

გუნდურ ჩათვლაში თბილისის პირველი გუნდისა და აფხაზეთის სპორტსმენებმა 7-7 ქულა მოაგროვეს და გაიყვეს პირველი-მეორე ადგილები. მესამე ადგილზე გამოვიდა აჭარელ ველოსიპედისტთა კოლექტივი. მეორე ჯგუფში უძლიერესი აღმოჩნდა თბილისის მეორე გუნდი. მეორე ადგილი წილად ხვდათ ზუგდიდელ ველოსიპედისტებს..

**ა. გუნია,**
სპორტის ოსტატი.



ამ დღეებში სოხუმს ეწვივნენ ტურისტთა ჯგუფები ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან. სურათზე თქვენ ხედავთ სტალინგრადელ მოსწავლეებს სოხუმის ქუჩებში.

ფოტო ს. ეელტიკოვისა.

## სტარტზე მოსწავლეები

## წყალში ხტომა

წყალში ხტომა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში პირველად შარშან იქნა შეტანილი. მაშინ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მე-9 ადგილი დაიკავეს. ამიტომ ყველას აინტერესებდა შეძლეს თუ არა საქართველოს სპორტსმენებმა თავიანთი ტექნიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება. ახლა, როცა შეჯიბრება დამთავრდა შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ მოლოდინი გამართლდა. აღსანიშნავია, რომ შარშან წყალში ხტომაში 11 პრიზიორიდან მხოლოდ 4-მა შეასრულა მეორე თანრიგის ნორმატივი, ხოლო ამ შეჯიბრებაზე 14 პრიზიორიდან მხოლოდ ერთმა ვერ შეძლო თანრიგის ჩვენება. თუ შარშანდელ შეჯიბრებაზე ნაჩვენები იქნა მეორე თანრიგის 5 შედეგი, ამჯერად მათი რიცხვი 23-მდე გაიზარდა.

თუ შარშან თბილისელმა ვ. ევდოკიმოვმა პირველი ადგილი მოიპოვა ტრამპლინიდან და კოშკურიდან ხტომაში, წელს ვერცერთმა მონაწილემ ვერ შეძლო „დუბლის“ გაკეთება. თვითონ ევდოკიმოვი ამ შეჯიბრებაზე ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მხოლოდ მეხუთე ადგილზე გამოვიდა.

ჩატარებული შეჯიბრების შედეგების მიხედვით საფუძველი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ მოსწავლეთა მომავალ საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი ნორჩი სპორტსმენები გაცილებით უკეთ გამოვლენ ვიდრე შარშან. გუნდურ ჩათვლაში როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის, მართალია, პირველი ადგილები თბილისელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს, მაგრამ ეს იყო დაძაბულ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება, ვინაიდან საკმაოდ ძლიერი გუნდი გამოიყვანა აფხაზეთმა გოგონათა შორის. აქ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ რესპუბლიკური ნაკრების წევრები დ. კინწურაშვილი და ო. ტკაჩენკო. კარგ იმედს იძლევიან აგრეთვე თბილისელი გოგონები ლ. მახვილაძე და ნ. ჩივაძე, აგრეთვე ზ. ფილონენკო (აფხაზეთი), ლ. ფოფხაძე (ქუთაისი); ჭაბუკები: დ. აკობია და გ. მხითარიანი (ორივე აფხაზეთიდან), ვ. ტოჩენიხი და დ. ბაგაევი (ორივე აჭარიდან). თბილისელები თ. ნიკურაძე, ვ. კუპრიანოვი და სხვები.

**ვ. ინწკირველი,**
შეჯიბრების უფროსი მსაჯი.

* * *

### ტექნიკური შედეგები

გოგონები-ერთმეტრიანი ტრამპლინი — კინწურაშვილი (აფხ.) — 49,95 ქულა, 3-მეტრიანი ტრამპლინი-ნესტერენკო — 110,30, 5 მ კოშკურა-ტკაჩენკო — (აფხ.) — 59,87. ჭაბუკები—1 მ ტრამპლინი—ტატუსი (თბ. I) — 56,30, 3 მ ტრამპლინი-ევდოკიმოვი — (თბ. I) — 108,17, 10 მ კოშკურა- იორდანიშვილი — (თბ. I) — 94,31.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების—3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03706